



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თბილისის კათოლიკური საეპისკოპოსო

თბილისის კათოლიკური საეპისკოპოსო, დაარსდა 1329 წ. 6 თებერვალს. რომის პაპმა - იოანე XXII-მ სპეც. ბულით გააუქმა თურქებისაგან შევიწროებული სმირნის საეპისკოპოსო და იგი თბილისში გადაიტანა, რადგან გიორგი V ბრწყინვალის მიერ ისევ გაერთიანებული და მონღოლთა ბატონობისგან თავისუფალი საქართველო ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა კათოლიკობის პროპაგანდისათვის. ამავე დროს, XIII ს-იდან კათოლიკე მისიონერების პროპაგანდის შედეგად თბილისში მომრავლდნენ ქართვე. კათოლიკეები. საეპისკოპოსოს მიეცა ქართულენოვანი ტიპიკონი. მისი დაარსება იმითაც იყო გამონვეული, რომ საქართველოს სამეფო კარი და ქართ. ეკლესია კეთილგანწყობას იჩენდა კათოლიკე მისიონერებისადმი. ამავე პერიოდში, ზოგიერთი წყაროს ცნობით, სოხუმშიც არსებულა კათოლ. საეპისკოპოსო. თ. კ. ს. რომის პაპმა დაუმორჩილა სპარსეთში არსებულ სულთანის ეპისკოპოსს. პირველი ეპისკოპოსი იყო ქართ. ენის კარგი მცოდნე, დომინიკელთა ორდენის მისიონერი იოანე ფლორენციელი (1329-48), რ-მაც ამ თანამდებობაზე 19 წელი დაყო, მეორე - ბერტანო კოლეტი (1349-56) და სხვ. თ. კ. ს-მ იარსება XVI ს. 10-იან წლებამდე. ამ ხნის განმავლობაში სულ 13 ეპისკოპოსი განაგებდა ეპარქიას. მისი გაუქმება განაპირობა ერთიანი საქართველოს ფეოდალური დაქუცმაცებამ და დასუსტებამ. საეპისკოპოსოს გაუქმების შემდეგ კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობა არ შეწყვეტილა. ქართვე. კათოლიკეები სულთანის საეპისკოპოსოს მრევლად ირიცხებოდნენ. საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, 1920 წ. 20 ოქტ., თ. კ. ს. კვლავ აღდგა. მის მმართველად დაინიშნა ეპისკოპოსი ნატალე გაბრიელ მორიონდო.

საქართველოს გასაბჭოების (1921) შემდეგ თ. კ. ს. გააუქმეს, რომის პაპის წარმომადგენლები საქართველოდან გააძევეს, კათოლ. ეკლესიებიც დახურეს. მოქმედი იყო მხოლოდ თბილ. პეტრე და პავლე მოციქულთა ეკლესია, რ-იც ლიტვის ეპისკოპოსს ექვემდებარებოდა. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, 1993

თებერვალში, თბილისში ვატიკანის წმ. ტახტის სადესპანო გაიხსნა და კვლავ აღდგა ლათ. წესის კათოლიკეთა სამოციქულო საეპისკოპოსო. დღესდღეობით საქართველოში მოქმედებს არაერთი კათოლ. ეკლესია, მათ შორის ბათუმში, ქუთაისში, უდემი და ა. შ.

ლიტ.: თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის..., ტფ., 1902; მ ი ს ი ვ ე, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1995; კ ი კ ნ ა ძ ე ვ., ლათინური წყარო XIV ს. საქართველოს შესახებ, «თსუ შრომები», 1983, ტ. 243; ლ ო მ ს ა ძ ე შ., გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან. ახალციხური ქრონიკები, თბ., 1979; მ ი ს ი ვ ე, მიხეილ თამარაშვილი და ქართველი კათოლიკენი, თბ., 1984.

ე. ბუბულაშვილი
